Ь-29
1936

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აპრილის 29. № 10 ტფილისი.

1933

შინაარსი:

ფინანსები.

63. იმ ნუსხის მე-II კარის შეცვლის შესახებ, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადისა და არასაგადასახადო თანხების ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

სასამართლო წყობილება და სამმართლის წარმოება.

64. ისეთი სახის ქონების შესახებ, რაზედაც სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით ან მისი თანაბარი დოკუმენტით გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

ფინანსები

63. დადგენილება ს.კ.ს

იმ ნუსხის მე-II კარის შეცვლის შესახებ, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადისა და არასაგადასახადო თანხების ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-III კარი იმ ნუსხისა, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადისა და არასაგადასახადო თანხების ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292; 1934 წ. 33 №-ი, მუხ. 246), მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„II. კერძო პირთა ქონება“.

„2. არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ამა ნუსხის მე-3, 4 და 5 მუხლებში აღნიშნულ გამონაკლისთა გარდა, კერძო პირის ისეთ ქონებაზე, როგორიც არის:

ა) მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფ პირთათვის საჭირო სახმარებელი საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი და ოჯახში საჭირო სხვა საგნები:

1) სახმარებელი საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი: ერთ სულზე—საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო ან ნაბადი, ერთი საზამთრო პალტო ან ქურქი (ტყაპუჭი); ერთი ხელი საზამთრო კოსტუმი (ქალისათვის ორი საზამთრო კაბა); ერთი საზაფხულო კოსტუმი (ქალისათვის ორი საზაფხულო კაბა); ერთი ყაბალახი, ერთი ფურაჟკა (შლაპა) და ერთი ქუდი, ბოლო ქალისათვის, ამის გარდა, ორი საზაფხულო და ერთი თბილი მოსახვევი (ან შალი);

2) თეთრეული—სამი ხელი ერთ სულზე;

3) ერთი წყვილი ტყავისა და ერთი წყვილი ნაბდის ფეხსაცმელი ერთ სულზე;

4) ოჯახში სახმარებელი საგნები: ა) ერთ სულზე—ერთი სასადილო ხელსაწყო (თეფში, ჩანგალი, დანა და კოვზი) და ერთი საჩაიო ხელსაწყო (ჭიქა ან ფინჯანი და ლამბაქი), ერთი სკამი (ტაბურეტი), ერთი ხელი ლოგინი (ლეიბი ბალიში, ორი ზეწარი, ორი ბალიშის პირი და საბანი, ერთი საწოლი, ორი პირსახოცი; ბ) ერთ ოჯახზე—სამოვარი (ჩაიდანი ან თუჯის რამ ჭურჭელი წყლის ასადუღებლად), პრიმუსი ან კეროსინაკი, ლამპა, სასადილო მაგიდა, ორი სუფრა, ორი ჩაის ტილო, ორი ჭურჭლის ტილო, ორი ვედრო ან ორი კოკა, ერთი სკივრი ან მისი მაგიერი სხვა რამ სათავსი ტანისამოსის შესანახად და სამზარეულოსათვის აუცილებლად საჭირო საციქველი (ქვაბები, თუჯია, ქვაბსაჭერი, ჩეკი, ტაფა და სხვა მისთ.);

ბ) სათბობი მარაგი, რაც საჭიროა მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფ პირთა საჭმლის მოსახარშავად და საცხოვრებელი სადგომის გასათბობად სამი თვის განმავლობაში;

გ) წარმოების გაწყობილობა, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა იმ მენარჩენისთვის, რომელიც მუშაობს დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, ან რომელსაც ჰყავს ერთი დაქირავებული მუშა, უკეთუ ეს გამოწვეულია წარმოების პირობებით და ამ გარემოებას თან არა სდევს საარჩევნო უფლების ჩამორთმევა;

დ) ნედლეული და სათბობი, რაც საჭიროა „გ“ პუნქტში აღნიშნული პირის მუშაობისათვის ორი თვის განმავლობაში;

ე) კოოპერაციული ორგანიზაციის წევრის საპაიო შენატანი;

ვ) თანხა სადაზღვეო საზღაურისა, რაც მენარჩენეს სავალდებულო დაზღვევით ერგება, და აგრეთვე სოციალური დაზღვევის ან სოციალური უზრუნველყოფის წესით მიცემული თანხა.

3. როდესაც გადასახდელი უნდა გადაჰხდეს კოლმეურნეს, იგი, მე-2 მუხლში აღნიშნული ქონების გარდა, არ შეიძლება მიიქცეს აგრეთვე შემდეგ ქონებაზე:

ეროვნული

ა) კოლმეურნისათვის საჭირო ოთხფეხ საქონელზე, შინაურ ფრინველზე და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, როგორიცაა:

1) ერთ მეურნეობაზე—ერთი ძროხა და ერთი ხბო $1^1/_2$ წლამდე; შინაური ფრინველი (ქათმები, ბატები, იხვები) არა უმეტეს თვითეული სახის ხუთი ცალისა; ცხვარი ბატკნის მოშორებამდე (4 თვემდე); ამასთანავე, ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან საქონელს ეთანაბრება ექვსი სული წვრილფეხა საქონელი დასაბეგრი წლოვანებისა;

2) ერთ მეურნეობაზე—საჭირო რაოდენობის წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (ცელი, ნამგალი, ფოცხი, ორთითი, ნიჩაბი, ცული და სხვა მისთ.); ნადირობის, თევზაობისა და სხვა რეწაობისათვის საჭირო სარეწაო იარაღი იმ მეურნეობაში, სადაც ასეთი რეწაობა შემოსავლის ძირითადი წყაროა;

ბ) საცხოვრებელ სახლზე და სამეურნეო შენობაზე, რაც კოლმეურნის მეურნეობის საჭირო კუთვნილებას შეადგენს;

გ) სასურსათო პროდუქტებზე—ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა კოლმეურნისათვის და მის რჩენაზე მყოფთათვის ახალ მოსავლამდე შემდეგი ანგარიშით თვითეულ სულზე თვეში: 15 კგ ფქვილი ან 17 კგ მარცვლეული (სიმინდის და ქერის ფქვილისა და მარცვლისათვის ნორმა გადიდდება 25%-ით), 15 კგ კარტოფილი, 2 კგ ბურღული (ან 3 კგ ლობიო), 4 კგ ბოსტნეული ყველა სახისა (ან 4 კგ თევზი), 500 გ ცხიმეული (ან 2 კგ ნიგოზი) და 1,5 კგ მარილი;

დ) საქონლის საკვებზე—ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე შემდეგი ანგარიშით თვეში: ძროხისთვის—320 კგ თივა, ხბოსთვის—210 კგ თივა, წვრილფეხა რქოსანი საქონლისთვის—50 კგ თივა; ამასთანავე, მენარჩენის განცხადებისამებრ, თივა შეიძლება შეიცვალოს სათანადო რაოდენობის ჩალით—ფქვილის ან ქატოს შერევით, ან სათანადო რაოდენობის კონცენტრირებული საკვებით;

ე) თესლზე—ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა დასათესად მიმდინარე სამეურნეო წელს შემდეგი ანგარიშით ფაქტიურად დასათეს ერთ ჰექტარ ფართობზე: საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, შვრია და ქერი—180 კგ, ჭვავი—150 კგ, სიმინდი—35 კგ, კართოფილი—1.500 კგ, ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ოსპი—120 კგ, გრეჩიხა—120 კგ, სოია—60 კგ, მზესუმზირის თესლი—22 კგ, აბუსალათინის თესლი--45 კგ, ფეტვი—30 კგ, კანაფის თესლი—120 კგ, სელის თესლი—90 კგ, ბამბის თესლი—60 კგ, კენაფის თესლი—30 კგ, ითონჯისა და სამყურის თესლი—20 კგ, ესპარცეტის თესლი—100 კგ, და თამბაქოს თესლი 500 გ;

ვ) ბოსტნის, ბაღის, ვენახის, სამხილის, თამბაქოს პლანტაციისა და ბაღჩის აუღებელ მოსავალზე, ისეთების გარდა, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

4. როდესაც გადასახდელი უნდა გადაჰხდეს ერთპიროვნულ შრომით მეურნეობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, გადახდევინება არ შეიძლება მიიქცეს შემდეგ ქონებაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფთათვის საჭირო სახმარებელ საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსს, თეთრეულს, ფეხსაცმელს და ოჯახში სახმარებელ სხვა საჭირო საგნებზე, ამა ნუსხის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული რაოდენობით;

ბ) სათბობის მარაგზე—ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფთა საცხოვრებელი სადგომის გასათბობად სამი თვის განმავლობაში;

გ) ერთ საცხოვრებელ სახლზე.

5. როდესაც გადასახდელი უნდა გადაჰხდეს კულაკურ მეურნეობას და იმ პირს, რომელიც საშემოსავლო გადასახადით მე-III კატეგორიის კვალობაზე იბეგრება, გადახდევინება არ შეიძლება მიიქცეს მხოლოდ მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფ პირთათვის საჭირო სახმარებელ საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსს, თეთრეულს, ფეხსაცმელს და ოჯახში სახმარებელ სხვა საჭირო საგნებზე, რაც აღნიშნულია ამა ნუსხის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მარტის 23. № 293
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

64. დადგენილება: ს. კ. ს.

ისეთი სახის ქონების შესახებ, რაზედაც სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით ან მისი თანაბარი დოკუმენტით გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 173), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით ან ამ ფურცელთან გათანაბრებული დოკუმენტით გადახდევინების მიქცევის დროს შეიფარდება მე-II კარი იმ ნუსხისა, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადისა და არასაგადასახადო თანხების ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-10 №-ი, მუხ. 63).

ხოლო, ამასთანავე, ნუსხაში აღნიშნული ქონების გარდა, გადახდევინება არ შეიძლება მიიქცეს აგრეთვე შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და მუშა საქონელზე (თვითეულ საგლეხო მეურნეობაში): ერთ გუთანზე, ერთ კავ-

ზე, ერთ ფარცხზე, ერთ საზიდავსა ან ურემზე, ერთ მარხილზე, ცხენისერთ ცალ მოსართავზე, ერთ ცხენსა ან ერთ ჯორზე, ან ერთ უღელ-ხარზე თუ კამეჩზე, ან და სხვა სახის მუშა-საქონელზე სათანადო რაოდენობით და ერთ სულ მოზარდეულ მუშა-საქონელზე სამ წლამდე.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის გამონაკლისად, კულაკურ მეურნეობაზე და მე-III კატეგორიის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავი პირის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს ზემოაღნიშნული ნუსხის მე-5 მუხლი შეიფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდევინება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სასარგებლოდ, ან როდესაც გადასახდევინებელია სამუშაო ხელფასი და ალიმენტი და ასაზღაურებელია მშრომელის პიროვნებისა თუ ქონებისთვის მიყენებული ზიანი.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის გამონაკლისად. როდესაც გადახდევინება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების გატაცებით, გაფლანგვით და მითვისებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ყველა შემთხვევაში შეიფარდება ზემოხსენებული ნუსხის მე-II კარის მე-5 მუხლი.

ამასთანავე, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას იმ ქონებაზედაც, რომელსაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) ჰფლობს სხვა პირებთან ერთად, სხვათაშორის—იმ საგლეხო კომლის საერთო ქონებაზე, რომელსაც ეკუთვნის მსჯავრდადებული (მოპასუხე), აგრეთვე მეუღლეთა საერთო ქონებაზე, უკეთუ სასამართლოში გამოირკვევა, რომ საერთო ქონებამ იმატა დანაშაულის მეოხებით.

ამა მუხლის მეორე ნაწილის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დანაშაულის ჩადენასა და სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრის მომენტს შორის გაიარა არა უმეტეს, ვიდრე ორმა წელმა.

4. ამა დადგენილების 1-3 მუხლები შეტანილ იქნას სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში მე-III დანართის სახით (318 მუხლისა).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხა ისეთი ქონებისა, რომელზედაც გადახდევინების მიქცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 174), გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1936 წ. იანვრის 4. № 6.
ტფილისი.

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

პანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებ	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 19. 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV ტირაჟი 2500

თავლ. რწმ. № 87051 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 320